# GOGC: არსებითი ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

მდებარეობა: საქართველო

პროექტის ნომერი: 52188

ბიზნესის სექტორი: ენერგო

შეტყობინების ტიპი: სახელმწიფო

გარემოს დაცვის კატეგორია: B

დამტკიცების თარიღი: 23 ივლისი 2020

სტატუსი: ხელმოწერილი

პროექტის მოკლე ანოტაციის ინგლისურად გამოქვეყნების თარიღი: 22 სექტემბერი 2020

*ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის III ნაწილის 2.6 პუნქტის თანახმად, ამ მოკლე ანოტაციის გაზიარება გადაიდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ დირექტივის 1.4.4 პუნქტის შესაბამისად.*

## პროექტის აღწერა

პროექტი წამოადგენს სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისათვის (შემდგომში, GOGC ან კომპანია), რომელიც ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მთავარი ქართული მომწოდებელია, გამოყოფილ არაუზრუნველყოფილ სესხს 217 მილიონის ოდენობით, 250 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ევროობლიგაციების სრული რეფინანსირებისათვის, რომელიც 2021 წლის აპრილში უნდა დაფარულიყო.

## პროექტის მიზნები

პროექტი წარმოადგენს COVID-19 პანდემიაზე რეაგირების ნაწილს, რომელმაც გამოიწვია მნიშვნელოვანი შოკი ფინანსურ ბაზრებზე და ეკონომიკური ვარდნა საქართველოში. ტექნიკური თანამშრომლობის (TC) ფართო პაკეტი მოიცავს სექტორის რეფორმას, კორპორატიულ დონეზე გაუმჯობესებას, კლიმატის კორპორაციულ მმართველობაზე ფოკუსირებასა და ენერგეტიკის სექტორში

ტექნიკურ პოზიციებზე ქალთა როლის მხარდაჭერას, აგრეთვე, ტექნიკურ თანამშრომლობას საინვესტიციო მოთხოვნების დასადგენად ქვეყანაში მწვანე წყალბადის წარმოქმნისა და ტრანსპორტირებისთვის, აგრეთვე კომპანიის აქტივების განახლებას შერეული წყალბადის მისაწოდებლად საბოლოო მომხმარებლებისათვის ადგილობრივად ან რეგიონში.

# შუალედური შედეგი

მოსალოდნელი შუალედური შედეგის ქულა: 60

*გამძლე: სესხი შეამსუბუქებს ფულადი მიმოქცევის ზეწოლას და გაუმკლავდება კომპანიის ლიკვიდურობის შეზღუდვებს, რაც გამოწვეულია COVID-19-თან დაკავშირებული ეკონომიკური ძვრებით და კომპანიისთვის კაპიტალის ბაზრებზე წვდომის სირთულეებით.*

*კარგად მართული: ბანკი ხელს შეუწყობს საქართველოში გაზის მიწოდების დიზაინისა და განხორციელების პროცესს. პროექტი მოიცავს ESAP-ის ფართოდ დანერგვას, რაც გულისხმობს კონკრეტულ დამატებით სტანდარტებს კომპანიისათვის კორპორატიულ დონეზე და სტრატეგიული გრძელვადიანი გეგმის ჩამოყალიბებას. პროექტი ასევე მოიცავს თანაბარი შესაძლებლობების სამოქმედო გეგმის (EOAP) შემუშავებას.*

# ინფორმაცია კლიენტის შესახებ

## საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის 100%-იანი წილის მფლობელია სს საპარტნიორო ფონდი, რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. GOGC–ის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება, ბუნებრივი გაზის მიწოდება და მილსადენების მფლობელობა და იჯარით გაცემა. კომპანია ფლობს და ამუშავებს ორ თბოსადგურს, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს მთლიანი ელექტროენერგიის 20%-ს და ელექტროენერგიის გარანტირებულ წყაროს როლს ასრულებენ, რათა უზრუნველყონ ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოება და საიმედოობა ქვეყანაში წყვეტილი ჰიდროენერგეტიკული წარმოების მაღალი წილის გათვალისწინებით.

# EBRD-ის დაფინანსების ჯამი

217,000,000.00 ევრო.

სესხი სრულად მოხმარდება არსებულ, 2016 წელს ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსებული ევრობონდის რეფინანსირებას.

## პროექტის მთლიანი ღირებულება

217,000,000.00 ევრო.

ბანკი ახორციელებს რამდენიმე დაუფინანსებელი უზრუნველყოფის პროვაიდერის მონაწილეობის მობილიზებას.

## დამატებითი ფაქტორები

- დაფინანსების სტრუქტურა: EBRD გამოყოფს არსებით დაფინანსებას, რაც ამჟამად ბაზარზე ხელმისაწვდომი არ არის.
- პირობები: პროექტი მოიცავს ფართო TC პაკეტს, როგორც ეს აღწერილია ზემოთ.
- ცოდნა, ინოვაცია და შესაძლებლობების განვითარება: EBRD უზრუნველყოფს გაფართოებულ მხარდაჭერას შესაძლებლობების განვითარების კუთხით და ითანამშრომლებს კომპანიასთან კორპორატიული დონის ESAP-ის განხორციელების გზით, რომ კომპანიის საქმიანობა მეტად შეესაბამებოდეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას.
- სტანდარტების დადგენა: კომპანია გამოიყენებს EBRD-ის გამოცდილებას უფრო მაღალი გენდერული სტანდარტების და EOAP-ის განსახორციელებლად.

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

პროექტს მინიჭებული აქვს  B კატეგორია EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის (2019) შესაბამისად და პროექტის შეფასება განხორციელდა ESD-ის თანამშრომლების მიერ EBRD-ის კოვიდზე რეაგირების პროცედურის შესაბამისად.

მიმდინარე ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების ექსპერტიზა (ESDD) მოიცავდა მსესხებლის მიერ გაზიარებული ინფორმაციის მიმოხილვას, ასევე, ინტერვიუებს კომპანიის მმართველ გუნდთან. ESDD-იმ დაადგინა, რომ გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების (E&S) მმართველობა ამჟამად დეცენტრალიზებულია ოპერაციული აქტივის დონეზე და რომ ამ საქმიანობისათვის შესადარებელი სტანდარტი არის საქართველოს ეროვნული საკანონმდებლო მოთხოვნები. შედეგად, შემუშავდა და შეთანხმდა მსესხებელთან სამოქმედო გეგმა (ESAP), რომელიც ადგენს, რომ კომპანია ჩამოაყალიბებს

სათანადო რესურსების მქონე ცენტრალიზებულ მენეჯმენტის გუნდს, შეიმუშავებს პოლიტიკას, პროცედურებსა და მენეჯმენტის სისტემებს EBRD–ის სტანდარტების (PR) შესაბამისად და განიხილავს კომპანიის ამჟამინდელ და სამომავლო ბიზნეს საქმიანობას EBRD–ის PR–ების ფარგლებში. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა მენეჯმენტის მიდგომაში და ცხადყოფს, რომ EBRD–ის ჩართულობა საგრძნობ დადებით გავლენას იქონიებს ამ ტრანზაქციის საშუალებით, განსაკუთრებით კი, კომპანიის გადაწყვეტილების შედეგად, რომ მიაღწიოს ევროკავშირის საუკეთესო ხელმისაწვდომ მეთოდიკას (EU BAT) კომპანიის პროფილის ფარგლებში არსებული ყველა ოპერაციული აქტივისთვის.

გარიგების შედეგად მიღებული თანხა (რეფინანსირება საბრუნავი კაპიტალის გარეშე და კაპექსის გარეშე და არსებულ პროექტებში განვითარების, ან გაფართოების გარეშე), სავარაუდოდ, არ იქნება დაკავშირებული კომპანიის ფიზიკური ნაკადის ან საოპერაციო ბაზის ზრდასთან. თუმცა, ESP-ის მოთხოვნების შესასრულებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ტრანზაქცია EBRD-ის სტანდარტების შესაბამისად განხორციელდეს, კომპანია დათანხმდა, რომ გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მართვის სისტემები მოიყვანოს შესაბამისობაში ბანკის სტანდარტებთან და მიიღოს ზომები კორპორატიულ დონეზე გარემოს დაცვისა და სოციალური რისკების სამართავად, რომლებიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან. ეს მოიცავს მენეჯმენტის სისტემების შემუშავებას კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ევროკავშირის BAT–ის ფონზე საოპერაციო აქტივების გადახედვას და ახალი პროექტების დაგეგმვას სტანდარტების შესაბამისად.

კომპანიამ დაადასტურა, რომ არ არის დაგეგმილი სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი რესტრუქტურიზაცია მომდევნო ორი წლის განმავლობაში კოვიდ პანდემიის შედეგად. მსესხებელს მოეთხოვება უზრუნველყოს ნებისმიერი ასეთი ღონისძიების ჩატარება PR2-ის და EBRD სამუშაო ძალის შემცირების სახელმძღვანელო მითითების მიხედვით. კომპანიამ გააზიარა, რომ არსებობს მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული რამოდენიმე პრობლემა, მილსადენების არსებული დერეფნების გასწვრივ და ESAP ვალდებულებას აკისრებს კომპანიას მოაგვაროს ამგვარი დავები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, კომპანია დათანხმდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმისა და ინფორმაციის გავრცელების პროცედურის შემუშავებას, აგრეთვე, მომავალი პროექტებისთვის სარგებლის განაწილების მექანიზმების გადახედვას ამ პროექტების რისკებისა და გავლენის შესაბამისად.

ბანკი მჭიდროდ ითანამშრომლებს კომპანიასთან ESAP-ის განხორციელების მონიტორინგის მიზნით, COVID-19-ის ამჟამინდელი არსებული შეზღუდვების შესაბამისად, ამგვარად, კომპანიასთან თანამშრომლობა გაგრძელდება.

## ტექნიკური თანამშრომლობა და საგრანტო დაფინანსება

- TC1: საქართველოში ინვესტიციის მოთხოვნების განსაზღვრა და შეფასება მწვანე წყალბადის წარმოქმნისთვის, აგრეთვე, კომპანიის აქტივების განახლება შერეული წყალბადის საბოლოო მომხმარებლებამდე მისაწოდებლად.
- TC2: საქართველოში გაზის გაცვლის განვითარების პოლიტიკურ-საკონსულტაციო მხარდაჭერის განხორციელება.
- TC3: სამოქმედო გეგმის შემუშავება და მხარდაჭერა მსესხებლის კლიმატის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც ასახავს კლიმატის შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს.
- TC4: თანაბარი შესაძლებლობების სამოქმედო გეგმის შემუშავება და განახორციელეთ ენერგეტიკის სექტორში ტექნიკურ თანამდებობებზე ქალთა როლის მხარდასაჭერად.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ომარ ოგბიაძე
o.ogbiadze@gogc.ge
+995322244040
+995322244041
www.gogc.ge
0190, თბილისი, საქართველო 21 კახეთის გზატკეცილი

## პროექტის მოკლე ანოტაციის განახლების თარიღი

22 სექტემბერი 2020

## შუალედური შედეგი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის შუალედური შედეგების გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement-ს:
ტელ.: +44 20 7338 6794
ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

## ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ით და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ; ასევე შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხების წამოჭრის, საჩივრების მიღების და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვასა და სოციალური საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

## ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში, ტარდება კომპლექსური საიმედოობის კვლევა, რომლის მიზანიც პროექტების განხორციელებისას პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკის თავიდან აცილებაა. ბანკი თვლის, რომ პროექტის შეფასების ეტაპზე, პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიების პროცესზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ინდივიდმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩნდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე: compliance@ebrd.com. თითოეულ საკითხის შემთხვევაში, OCCO-ი დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

## ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების  გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.
კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

# პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს.

IPAM-ი დამოუკიდებლად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, რათა გაარკვიოთ, თუ როგორ უნდა შეიტანოთ განსახილველი მოთხოვნა კონფიდენციალური ონლაინ ფორმის საშუალებით, ელ.ფოსტით, ფოსტით ან ტელეფონით. IPAM-ი მზად არის განიხილოს მოთხოვნების შეტანასა და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები და პასუხის გასცეს ნებისმიერ კითხვას, პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკასა და სახელმძღვანელოსთან შესაბამისობაში. მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლოა, განმცხადებელთა იდენტობების კონფიდენციალურობის დაცვა.